ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №11

2018 წლის 30 მარტი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 190020030.35.134.016185. 17/12/2015) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური გეგმის ცვლილების ცნობა, თანახმად დანართი №2-ისა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1):

ა) მე-2 მუხლი ,,მე-2“ და ,,მე-3“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების გადანაწილება, მე-3 მუხლით დადგენილი წესით, შეიძლება განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერის) ბრძანების შესაბამისად.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შემდგომში – საფინანსო-

საბიუჯეტო სამსახური) უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა) პროგრამულ კლასიფიკაციაში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად".

ბ) მე-3 მუხლი „მე-3", „მე-4", „მე-5", და „მე-6" პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მხარჯავი დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ასიგნებების გადანაწილებაზე მერის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარჯავმა დაწესებულებამ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა მერს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი და მერის ბრძანების პროექტი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

5. მერის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (რაც ფორმდება მერის ბრძანებით), საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტითა და აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. მერის მიერ ბრძანების გამოცემის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად."

3. დადგენილებით დამტკიცებული „დანართი №2" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

20 წლის „__" _____

(მხარჯავი დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, ქვეპროგრამისა და პროგრამულ კოდი)

(ცვლილების საფუძველი - სამართლებრივი აქტი)

20 წლის „_____“ _____

_____

(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

პროგრამული კოდი	საბიუჯეტო ორგანიზაცია, მხარჯავი დაწესებულება, პროგრამა, ქვეპროგრამა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილების თანხა +/- (გადიდებული, შემცირებული)				
			წლიური	მათშორის: კვარტალების მიხედვით			
				I	II	III	IV
ჯამი							

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება

2. სარეზერვო ფონდი

3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

პასუხიმგებელი შემსრულებელი:

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე **შუქრი თურმანიძე**